თანამშრომელთა ხარჯი - დარიცხული ხელფასის, ბონუსების და არაფულადი სარგებლის დარიცხვა ხდება იმ საანგარიშგებო წელს, როდესაც თანამშრომლების მიერ გაიწევა შესაბამისი მომსახურება.

### იჯარები

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

## შპს „საგზაო სამშენებლო სამმართველო N1“

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულებების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარი ვადის განმავლობაში.

### ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

კომპანიას სამუშაო ვალუტას წარმოდგენს ქართული ლარი („ლარი“). უცხოურ ვალუტაში გახორციელებული ტრანზაქციები თავდაპირველად აღიარდება სამუშაო ვალუტაში ტრანზაქციის გახორციელების თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. საანგარიშგებო თარიღში უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ხორციელდება ამ თარიღისათვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. გადაფასებით წარმოქმნილი საკურსო სხვაობები აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

|                                       | აშშ დოლარი | ევრო |
|---------------------------------------|------------|------|
| გაცვლითი კურსი 2018 წლის 31 დეკემბერს | 2.68       | 3.07 |
| გაცვლითი კურსი 2017 წლის 31 დეკემბერს | 2.59       | 3.10 |
| საშუალო გაცვლითი კურსი 2018 წლისთვის  | 2.53       | 2.99 |
| საშუალო გაცვლითი კურსი 2017 წლისთვის  | 2.51       | 2.83 |

### **სავაჭრო და სხვა მოთხოვნები**

რეალიზაციები ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

### **მოგების გადასახადი**

კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98<sup>1</sup>-ე მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან.

საგადასახადო დაბეგვრის სისტემის სპეციფიურობიდან გამომდინარე საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება.

კომპანია საკუთარ ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღიარებს პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულებას, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას მომავალ პერიოდებში მოგების განაწილების დროს.

### **საწესდებო კაპიტალი და გადასახდელი დივიდენდები**

მფლობელთა კაპიტალი განისაზღვრება კომპანიას დამფუძნებლების გადაწყვეტილებით. გასაცემი დივიდენდების ვალდებულება აღიარდება იმ საანგარიშგებო წელს, როდესაც ხდება მათი გამოცხადება.

### **ძირითადი საშუალებები და საინვესტიციო ქონება**

ძირითადი საშუალებები და საინვესტიციო ქონება წარმოდგენილია ღირებულებასა და დაგროვილ ცვეთას, ასევე, არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების რეზერვს შორის სხვაობით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, შემცირებადი ნაშთის

## **შპს „საგზაო სამშენებლო სამმართველო N1“**

### **ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**

#### *ქართულ ლარში*

მეთოდის გამოყენებით. შენობებზე გამოიყენება წლიური 5%-იანი ცვეთის განაკვეთი, სატრანსპორტო საშუალებებსა და მანქანა-დანადგარებზე - წლიური 8%-დან 20%-მდე, ხოლო საოფისე აღჭურვილობაზე - წლიური 14%-დან 50%-მდე განაკვეთი.

თუ არსებობს ძირითადი საშუალებების და საინვესტიციო ქონების ცვეთის განაკვეთის, სასარგებლო მომსახურების ვადის ან ნარჩენი ღირებულების მნიშვნელოვანი ცვლილების ინდიკაცია, ახალი მოლოდინების ასახვის მიზნით, ცვეთის დარიცხვის ცვლილება აისახება არარეტროსპექტულად.

ძირითადი საშუალების და საინვესტიციო ქონების რეალიზაციით წარმოქმნილი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა მიღებულ საფასურსა და ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება შესაბამისი პერიოდის მოგებად ან ზარალად.

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ხელმძღვანელობა აფასებს, ხომ არ არსებობს ძირითადი საშუალებების გაუფასურების ინდიკაცია. თუ ამგვარი ნიშანი არსებობს, ხელმძღვანელობა აფასებს აქტივის (აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებად ღირებულებას, რომელიც წარმოადგენს უდიდესს აქტივის რეალურ ღირებულებასა და გამოყენებით ღირებულებას შორის. გაუფასურების შემთხვევაში აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ სიდიდით, რითაც იგი აღემატება ამ აქტივის გადაფასების რეზერვს კაპიტალში.

#### **არამატერიალური აქტივები**

ორგანიზაციის არამატერიალურ აქტივებს აქვს განსაზღვრული სასარგებლო გამოყენების ვადა და უმთავრესად მოიცავს ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიებს.

შემენილ ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიებს ერიცხება ამორტიზაცია შემცირებადი ნაშთის მეთოდით წლიური 15% ოდენობით.

#### **სავაჭრო და სხვა ვალდებულებები**

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

## **შპს „საგზაო სამშენებლო სამმართველო N1“**

**ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**

*ქართულ ლარში*

### **მარაგები**

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხორციელდება თვითღირებულებასა და მის ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ხარჯის დასადგენად გამოიყენება საშუალო შეწონილი ფასის მეთოდი. სასაქონლო მატერიალური მარაგების თვითღირებულება მოიცავს დანახარჯებს რომლებიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან და მის არსებულ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. დასრულებულ და მიმდინარე პროექტების ღირებულება მოიცავს სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულებას, პირდაპირ სახელფასო და სხვა ხარჯებს გარდა მიღებული სესხებისა.

### **ფული და ფულის ეკვივალენტები**

ფული და ფულის ეკვივალენტები ის პუნქტებია, რომლებიც თავისუფლად კონვერტირდება ფულად თანხებად და რომელთა ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. თანხები, რომელთა გატანაც დეპონირებიდან სამ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში არ შეიძლება, არ მიეკუთვნება ფულს და ფულად ეკვივალენტებს. ფული და ფულადი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით.

### **3 მსჯელობები და შეფასების განუსაზღვრელობის საკვანძო მიზეზები**

ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის ხელმძღვანელობას არ დასჭირვებია გაეკეთებინა მნიშვნელოვანი შეფასებები და დაშვებები, გარდა სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვაში აღნიშნულისა (მაგალითად, არამატერიალური აქტივების მომსახურების ვადის, უიმედო ვალების ანარიცხის განსაზღვრა), რომლებსაც ექნებოდათ არსებითი ზეგავლენა აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე, ასევე შემოსავლებსა, ხარჯებზე და განმარტებით შენიშვნებში მოცემულ სხვა ინფორმაციაზე.

**შპს „საგზაო სამშენებლო სამმართველო N1“**

**ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**

*ქართულ ლარში*

| <b>4 შემოსავლები და ხარჯები</b>          | <b>2018</b>      | <b>2017</b>      |
|------------------------------------------|------------------|------------------|
| შემოსავალი სამშენებლო კონტრაქტებიდან     | 18,345,147       | 18,563,610       |
| შემოსავალი მასალების რეალიზაციიდან       | 1,255,143        | 1,025,873        |
| სხვა საოპერაციო შემოსავლები              | 60,111           | 303,593          |
| სამშენებლო კონტრაქტებზე გაწეული ხარჯები* | (15,404,489)     | (15,669,194)     |
| რეალიზებული მასალების თვითღირებულება     | (977,322)        | (865,891)        |
| სხვა საოპერაციო ხარჯები                  | -                | (293,691)        |
| <b>საოპერაციო მოგება</b>                 | <b>3,278,590</b> | <b>3,064,300</b> |

იმისათვის რომ განსაზღვროს შესაბამის პერიოდში ასაღიარებელი შემოსავალი, კომპანია იყენებს საკონტრაქტო სამუშაოების დასრულების ფიზიკური პროპორციულობის მეთოდს. კონტრაქტის ბუნებიდან გამომდინარე პროპორცია განისაზღვრება და შემოსავალი აღიარდება როდესაც კონტრაქტის მიხედვით შესრულების ეტაპები შეთანხმდება კომპანიასა და კლიენტს (შემდგომში - „მხარეები“) შორის. მხარეები ყოველი თვის ბოლოს აფორმებენ მიღება-ჩაბარების აქტს შესრულებულ სამუშაოების შესახებ, სადაც განსაზღვრულია კომპანიის შესრულებული სამუშაოს მიხედვით ასაღიარებელი შემოსავალი, ხოლო საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მიმდინარე პროექტებზე განისაზღვრება იმ დარჩენილი შემოსავლის და გასაწევი ხარჯის რაოდენობა, რომელიც კომპანიას მომავალ პერიოდში აქვს მისაღები და გასაწევი.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ძირითადი სამშენებლო კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლები და მათზე გაწეული ხარჯები 2018 წლის განმავლობაში:

შპს „საგზაო სამშენებლო სამმართველო N1“

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

|                                                        | პროექტი #1       | პროექტი #2    | პროექტი #3       | პროექტი #4     | პროექტი #5     | პროექტი #6       | პროექტი #7       | პროექტი #8     | პროექტი #9     | პროექტი #10    | სხვა             | სულ               |
|--------------------------------------------------------|------------------|---------------|------------------|----------------|----------------|------------------|------------------|----------------|----------------|----------------|------------------|-------------------|
| <b>შემოსავლები</b>                                     |                  |               |                  |                |                |                  |                  |                |                |                |                  |                   |
| დღემდე აღიარებული შემოსავალი სამშენებლო კონტრაქტებიდან | 5,103,143        | 851,041       | 5,145,629        | 776,548        | 518,385        | 1,263,782        | 2,693,916        | 659,755        | 560,009        | 831,160        | 6,581,477        | 24,984,845        |
| შემცირებული: აღიარებული წინა პერიოდებში                | (2,907,850)      | (821,136)     | (2,910,712)      | -              | -              | -                | -                | -              | -              | -              | -                | (6,639,698)       |
| <b>წლის შემოსავალი სამშენებლო კონტრაქტებიდან</b>       | <b>2,195,293</b> | <b>29,905</b> | <b>2,234,917</b> | <b>776,548</b> | <b>518,385</b> | <b>1,263,782</b> | <b>2,693,916</b> | <b>659,755</b> | <b>560,009</b> | <b>831,160</b> | <b>6,581,477</b> | <b>18,345,147</b> |
| <b>ხარჯები</b>                                         |                  |               |                  |                |                |                  |                  |                |                |                |                  |                   |
| დღემდე აღიარებული სამშენებლო კონტრაქტების ხარჯები      | 3,825,096        | 716,397       | 5,011,188        | 612,478        | 497,179        | 984,049          | 2,097,629        | 623,770        | 438,547        | 655,660        | 5,149,221        | 20,611,214        |
| შემცირებული: აღიარებული წინა პერიოდებში                | (2,056,716)      | (693,111)     | (2,456,898)      | -              | -              | -                | -                | -              | -              | -              | -                | (5,206,725)       |
| <b>წლის ხარჯები სამშენებლო კონტრაქტებზე</b>            | <b>1,768,380</b> | <b>23,286</b> | <b>2,554,290</b> | <b>612,478</b> | <b>497,179</b> | <b>984,049</b>   | <b>2,097,629</b> | <b>623,770</b> | <b>438,547</b> | <b>655,660</b> | <b>5,149,221</b> | <b>15,404,489</b> |

**შპს „საგზაო სამშენებლო სამმართველო N1“**

**ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**

*ქართულ ლარში*

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ძირითადი სამშენებლო კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლები და მათზე გაწეული ხარჯები 2017 წლის განმავლობაში:

|                                                        | პროექტი #1       | პროექტი #2     | პროექტი #3       | პროექტი #4       | პროექტი #5     | პროექტი #6     | პროექტი #7     | პროექტი #8     | პროექტი #9     | პროექტი #10    | სხვა             | სულ               |
|--------------------------------------------------------|------------------|----------------|------------------|------------------|----------------|----------------|----------------|----------------|----------------|----------------|------------------|-------------------|
| <b>შემოსავლები</b>                                     |                  |                |                  |                  |                |                |                |                |                |                |                  |                   |
| დღემდე აღიარებული შემოსავალი სამშენებლო კონტრაქტებიდან | 2,907,850        | 821,136        | 2,910,712        | 1,572,034        | 1,401,076      | 931,757        | 2,179,690      | 673,722        | 626,934        | 607,627        | 6,757,040        | 21,389,578        |
| შემცირებული: აღიარებული წინა პერიოდებში                | (946,726)        | -              | -                | -                | (468,010)      | -              | (1,197,815)    | -              | -              | -              | (213,417)        | (2,825,968)       |
| <b>წლის შემოსავალი სამშენებლო კონტრაქტებიდან</b>       | <b>1,961,124</b> | <b>821,136</b> | <b>2,910,712</b> | <b>1,572,034</b> | <b>933,066</b> | <b>931,757</b> | <b>981,875</b> | <b>673,722</b> | <b>626,934</b> | <b>607,627</b> | <b>6,543,623</b> | <b>18,563,610</b> |
| <b>ხარჯები</b>                                         |                  |                |                  |                  |                |                |                |                |                |                |                  |                   |
| დღემდე აღიარებული სამშენებლო კონტრაქტების ხარჯები      | 2,056,716        | 693,111        | 2,456,898        | 1,326,935        | 1,170,604      | 786,485        | 1,628,472      | 568,681        | 529,188        | 512,891        | 5,595,200        | 17,325,181        |
| შემცირებული: აღიარებული წინა პერიოდებში                | (401,354)        | -              | -                | -                | (383,014)      | -              | (799,815)      | -              | -              | -              | (71,804)         | (1,655,987)       |
| <b>წლის ხარჯები სამშენებლო კონტრაქტებზე</b>            | <b>1,655,362</b> | <b>693,111</b> | <b>2,456,898</b> | <b>1,326,935</b> | <b>787,590</b> | <b>786,485</b> | <b>828,657</b> | <b>568,681</b> | <b>529,188</b> | <b>512,891</b> | <b>5,523,396</b> | <b>15,669,194</b> |

**შპს „საგზაო სამშენებლო სამმართველო N1“**

**ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**

ქართულ ლარში

დამკვეთებისგან მისაღები დაკავებული თანხების რეკონსილაცია 2018 წლისათვის:

|                                                        | პროექტი #1  | პროექტი #2 | პროექტი #3  | პროექტი #4 | პროექტი #5 | პროექტი #6  | პროექტი #7  | პროექტი #8 | პროექტი #9 | პროექტი #10 | სხვა        | სულ          |
|--------------------------------------------------------|-------------|------------|-------------|------------|------------|-------------|-------------|------------|------------|-------------|-------------|--------------|
| დღემდე აღიარებული სამშენებლო კონტრაქტების ხარჯები      | 3,825,096   | 716,397    | 5,011,188   | 612,478    | 497,179    | 984,049     | 2,097,629   | 623,770    | 438,547    | 655,660     | 5,149,221   | 20,611,214   |
| საანგარიშგებო პერიოდამდე აღიარებული მოგება             | 1,278,047   | 134,644    | 134,442     | 164,070    | 21,207     | 279,733     | 596,287     | 35,985     | 121,461    | 175,500     | 1,432,256   | 4,373,631    |
| დღემდე აღიარებული შემოსავალი სამშენებლო კონტრაქტებიდან | 5,103,143   | 851,041    | 5,145,629   | 776,548    | 518,385    | 1,263,782   | 2,693,916   | 659,755    | 560,009    | 831,160     | 6,581,477   | 24,984,845   |
| შემცირება: მიღებული ფულადი გადახდებით                  | (4,996,058) | (808,489)  | (4,888,348) | (757,134)  | (499,669)  | (1,263,782) | (2,559,221) | (636,193)  | (560,009)  | (831,160)   | (7,845,020) | (25,645,082) |
| მოთხოვნა კლიენტების მიმართ                             | 107,085     | 42,552     | 257,281     | 19,414     | 18,717     | -           | 134,696     | 23,562     | -          | -           | 183,546     | 786,852      |
| დღგ განაკვეთი                                          | 18%         | 18%        | 18%         | 18%        | 18%        | 18%         | 18%         | 18%        | 18%        | 18%         | 18%         |              |
| მოთხოვნა კლიენტების მიმართ                             | 126,360     | 50,211     | 303,592     | 22,908     | 22,086     | -           | 158,941     | 27,803     | -          | -           | 216,584     | 928,485      |
| მიღებული ავანსი                                        | -           | -          | -           | -          | -          | -           | -           | -          | -          | -           | (1,447,089) | (1,447,089)  |
| პროექტის დასრულების სტადია                             | 100%        | 100%       | 100%        | 100%       | 100%       | 100%        | 100%        | 100%       | 100%       | 100%        |             |              |

**შპს „საგზაო სამშენებლო სამმართველო N1“**

**ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**

*ქართულ ლარში*

დამკვეთებისგან მისაღები დაკავებული თანხების რეკონსილაცია 2017 წლისათვის:

|                                                        | პროექტი #1  | პროექტი #2 | პროექტი #3  | პროექტი #4  | პროექტი #5  | პროექტი #6 | პროექტი #7  | პროექტი #8 | პროექტი #9 | პროექტი #10 | სხვა         | სულ          |
|--------------------------------------------------------|-------------|------------|-------------|-------------|-------------|------------|-------------|------------|------------|-------------|--------------|--------------|
| დღემდე აღიარებული სამშენებლო კონტრაქტების ხარჯები      | 2,056,716   | 693,111    | 2,456,898   | 1,326,935   | 1,170,604   | 786,485    | 1,628,472   | 568,681    | 529,188    | 512,891     | 5,595,200    | 17,325,181   |
| საანგარიშგებო პერიოდამდე აღიარებული მოგება             | 851,134     | 128,025    | 453,814     | 245,099     | 230,472     | 145,272    | 551,218     | 105,041    | 97,746     | 94,736      | 1,161,840    | 4,064,397    |
| დღემდე აღიარებული შემოსავალი სამშენებლო კონტრაქტებიდან | 2,907,850   | 821,136    | 2,910,712   | 1,572,034   | 1,401,076   | 931,757    | 2,179,690   | 673,722    | 626,934    | 607,627     | 6,757,040    | 21,389,578   |
| შემცირება: მიღებული ფულადი გადახდებით                  | (2,854,412) | (764,887)  | (2,765,176) | (1,572,034) | (1,401,076) | (931,757)  | (2,179,690) | (606,365)  | (608,126)  | (607,627)   | (6,476 ,359) | (20,767,509) |
| მოთხოვნა კლიენტების მიმართ                             | 53,438      | 56,249     | 145,536     | -           | -           | -          | -           | 67,357     | 18,808     | -           | 280,681      | 622,069      |
| დღგ განაკვეთი                                          | 18%         | 18%        | 18%         | 18%         | 18%         | 18%        | 18%         | 18%        | 18%        | 18%         | 18%          | 18%          |
| დამკვეთისგან მისაღები თანხები                          | 63,057      | 66,374     | 171,732     | -           | -           | -          | -           | 79,482     | 22,194     | -           | 331,203      | 734,041      |
| პროექტის დასრულების სტადია                             | 56%         | 95%        | 54%         | 100%        | 100%        | 100%       | 100%        | 100%       | 100%       | 100%        | 100%         |              |

შპს „საგზაო სამშენებლო სამმართველო N1“  
 ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
 ქართულ ლარში

5 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

|                                              | 2018             | 2017             |
|----------------------------------------------|------------------|------------------|
| თანამშრომელთა ხელფასები და სხვა სარგებელი    | 2,047,006        | 1,963,930        |
| უიმედო ვალების ანარიცხის ხარჯი               | 678,541          | 295,185          |
| მივლინების ხარჯი                             | 177,963          | 37,876           |
| გადასახადები მოგების გარდა                   | 89,543           | 18,947           |
| ბანკის მომსახურების ხარჯი                    | 67,341           | 56,526           |
| დაზღვევის ხარჯი                              | 35,295           | 8,010            |
| საკონსულტაციო და პროფესიული მომსახურება      | 33,350           | 48,015           |
| ცვეთა და ამორტიზაცია, არაპირდაპირი           | 17,078           | 11,309           |
| კომუნალური გადასახადები, არაპირდაპირი        | 8,831            | 8,136            |
| ოფისის ხარჯები                               | 4,509            | 5,121            |
| იურიდიული მომსახურების ხარჯი                 | 1,640            | 10,666           |
| შეკეთებისა და მოვლის ხარჯები, არაპირდაპირი   | -                | 128,031          |
| სხვა ადმინისტრაციული ხარჯი                   | 35,038           | 59,317           |
| <b>სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები</b> | <b>3,196,135</b> | <b>2,651,069</b> |

6 მოგების გადასახადის ხარჯი

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა საქართველოს საგადასახადო კოდექსში მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებიც ძირითადად ეხება მოგების გადასახადით დაბეგვრას. სხვა დაბეგვრის რეჟიმებთან ერთად, ცვლილებებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი არის ის, რომ დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან.

2018 საანგარიშგებო წლისათვის კომპანიის მოგების გადასახადის ხარჯმა შეადგინა 41,849 ლარი (2017: 83,829 ლარი), ხოლო განაწილებული დივიდენდების თანხამ - 743,582 ლარი (2017: 1,496,740 ლარი).

შპს „საგზაო სამშენებლო სამმართველო N1“

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

7 ძირითადი საშუალებები

| ღირებულება             | შენობა-<br>ნაგებობები | მიწის<br>ნაკვეთები | მანქანა-<br>დანადგარები | ოფისის<br>აღჭურვილობა | სატრანსპორტო<br>საშუალებები | სულ       |
|------------------------|-----------------------|--------------------|-------------------------|-----------------------|-----------------------------|-----------|
| 2017 წლის 31 დეკემბერი | 243,410               | 275,940            | 1,901,008               | 62,769                | 7,046,235                   | 9,529,362 |
| შეძენა                 | 10,269                | -                  | 50,490                  | 5,069                 | 378,601                     | 444,429   |
| გასვლა/გაყიდვა         | -                     | (5,000)            | -                       | -                     | (66,799)                    | (71,799)  |
| 2018 წლის 31 დეკემბერი | 253,679               | 270,940            | 1,951,498               | 67,838                | 7,358,037                   | 9,901,992 |

დაგროვილი ცვეთა

|                                        |          |   |             |          |             |             |
|----------------------------------------|----------|---|-------------|----------|-------------|-------------|
| 2018 წლის 1 იანვარი                    | (66,351) | - | (1,068,518) | (29,759) | (3,435,864) | (4,600,492) |
| ცვეთა                                  | (10,769) | - | (144,836)   | (6,672)  | (746,542)   | (908,819)   |
| გასვლის შედეგად ელიმინირებული<br>ცვეთა | -        | - | -           | -        | 52,452      | 52,452      |
| 2018 წლის 31 დეკემბერი                 | (77,120) | - | (1,213,354) | (36,431) | (4,129,954) | (5,456,859) |

წმინდა საბალანსო ღირებულება

|                        |         |         |         |        |           |           |
|------------------------|---------|---------|---------|--------|-----------|-----------|
| 2017 წლის 31 დეკემბერი | 177,059 | 275,940 | 832,490 | 33,010 | 3,610,372 | 4,928,871 |
| 2018 წლის 31 დეკემბერი | 176,559 | 270,940 | 738,146 | 31,408 | 3,228,083 | 4,445,136 |

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელობაში არსებული ყველა ძირითადი საშუალება დაგირავებულია სატენდერო ვალდებულებების უზრუნველყოფის მიზნით. 2018 წლის ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯიდან 905,719 ლარი მიეკუთვნა პროექტების თვითღირებულებას.

შპს „საგზაო სამშენებლო სამმართველო N1“

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

7.1 საინვესტიციო ქონება

| თვითღირებულება              | შენობა-<br>ნაგებობა | სულ      |
|-----------------------------|---------------------|----------|
| 2017 წლის 31 დეკემბერი      | 273,274             | 273,274  |
| შეძენა                      | -                   | -        |
| გასვლა/გაყიდვა              | -                   | -        |
| 2018 წლის 31 დეკემბერი      | 273,274             | 273,274  |
| დაგროვილი ცვეთა             |                     |          |
| 2018 წლის 1 იანვარი         | (36,784)            | (36,784) |
| ცვეთა                       | (12,290)            | (12,290) |
| 2017 წლის 31 დეკემბერი      | (49,074)            | (49,074) |
| წმინდა საბალანსო ღირებულება |                     |          |
| 2017 წლის 31 დეკემბერი      | 236,489             | 236,489  |
| 2018 წლის 31 დეკემბერი      | 224,200             | 224,200  |

საინვესტიციო ქონების მუხლი შედგება კომპანიის ბალანსზე თვითღირებულების მოდელით აღრიცხული შენობა-ნაგებობისგან. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ქონების საბალანსო ღირებულება შეადგენდა 224,200 ლარს (2017: 236,489 ლარი). შენობა განლაგებულია შემდეგ მისამართზე: ქ.გორი, ცხინვალის გზატკეცილი(სავაჭრო ცენტრი) მე-2 კმ.შენობის მთლიანი ფართი შეადგენს 727 მ2-ს, საიდანაც 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაქირავებული იყო 395მ2. 2018 წელს აღნიშნული ქონების გაქირავებით მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 14,534 ლარი (2017: 10,129 ლარი).

შპს „საგზაო სამშენებლო სამმართველო N1“

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

8 არამატერიალური აქტივები

| თვითღირებულება                      | ლიცენზიები      | სხვა<br>არამატერიალური<br>აქტივები | სულ             |
|-------------------------------------|-----------------|------------------------------------|-----------------|
| <b>2017 წლის 1 იანვარი</b>          | <b>180,908</b>  | <b>3,355</b>                       | <b>184,263</b>  |
| შეძენა                              | 48,264          | -                                  | 48,264          |
| გასვლა                              | -               | -                                  | -               |
| <b>2017 წლის 31 დეკემბერი</b>       | <b>229,172</b>  | <b>3,355</b>                       | <b>232,527</b>  |
| შეძენა                              |                 |                                    |                 |
| გასვლა                              | (77,759)        | -                                  | (77,759)        |
| <b>2018 წლის 31 დეკემბერი</b>       | <b>151,414</b>  | <b>3,355</b>                       | <b>154,769</b>  |
| <b>დაგროვილი ამორტიზაცია</b>        |                 |                                    |                 |
| <b>2017 წლის 1 იანვარი</b>          | <b>(48,508)</b> | <b>(1,296)</b>                     | <b>(49,804)</b> |
| ცვეთა                               | (32,808)        | (377)                              | (33,185)        |
| გასვლის შედეგად ელიმინირებული ცვეთა | -               | -                                  | -               |
| <b>2017 წლის 31 დეკემბერი</b>       | <b>(81,316)</b> | <b>(1,673)</b>                     | <b>(82,989)</b> |
| ცვეთა                               | (28,287)        | (761)                              | (29,047)        |
| გასვლის შედეგად ელიმინირებული ცვეთა | 31,125          | -                                  | 31,125          |
| <b>2017 წლის 31 დეკემბერი</b>       | <b>(78,477)</b> | <b>(2,434)</b>                     | <b>(80,911)</b> |
| <b>წმინდა საბალანსო ღირებულება</b>  |                 |                                    |                 |
| <b>2017 წლის 31 დეკემბერი</b>       | <b>147,857</b>  | <b>1,682</b>                       | <b>149,539</b>  |
| <b>2018 წლის 31 დეკემბერი</b>       | <b>72,936</b>   | <b>921</b>                         | <b>73,858</b>   |

9 მარაგები

|                            | 31 დეკემბერი<br>2018 | 31 დეკემბერი<br>2017 |
|----------------------------|----------------------|----------------------|
| ნედლეული                   | 594,030              | 232,755              |
| დაუმთავრებელი წარმოება     | 230,815              | 85,861               |
| მზა პროდუქცია              | 113,140              | 421,120              |
| საწვავი და საპოხი მასალები | 75,517               | 48,396               |
| სხვა მარაგები              | 63,676               | 18,870               |
| <b>სულ მარაგები</b>        | <b>1,077,178</b>     | <b>807,002</b>       |

სხვა მარაგების მუხლი შედგება საოპერაციო საქმიანობის განხორციელებისთვის საჭირო აქსესუარების ნაშთისგან და სხვა მარაგებისგან.

**შპს „საგზაო სამშენებლო სამმართველო N1“**

**ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**

*ქართულ ლარში*

**10 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები**

|                                           | 31 დეკემბერი<br>2018 | 31 დეკემბერი<br>2017 |
|-------------------------------------------|----------------------|----------------------|
| სავაჭრო მოთხოვნები                        | 993,800              | 1,021,977            |
| მოთხოვნები სამშენებლო კონტრაქტებიდან      | 928,485              | 162,391              |
| გადახდილი ავანსები                        | 172,207              | 158,132              |
| დამკვეთისაგან მისაღები დაკავებული თანხები | 94,512               | 571,650              |
| უიმედო მოთხოვნების რეზერვი                | (1,247,736)          | (569,194)            |
| <b>სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები</b>     | <b>941,268</b>       | <b>1,344,956</b>     |

სავაჭრო მოთხოვნები მოიცავს მასალების რეალიზაციით დარიცხულ მოთხოვნებს, საიჯარო მომსახურების გაწევისა და სხვა მოთხოვნებს.

დამკვეთებისაგან მისაღებ თანხები მოიცავს თანხებს, რომლებიც კომპანიას უკავდება კონტრაქტის საგარანტიო ვადის გასვლამდე.

გაუფასურებული მოთხოვნების ცხრილი ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია ქვემოთ:

გაუფასურების ანარიცხის მოძრაობა წლების მიხედვით წარმოდგენილია შემდგენილად:

|                             | სავაჭრო<br>მოთხოვნები | მოთხოვნები სამშ.<br>კონტრაქტებიდან | სულ              |
|-----------------------------|-----------------------|------------------------------------|------------------|
| <b>01.01.2017</b>           | <b>274,009</b>        | -                                  | <b>274,009</b>   |
| დარიცხვა წლის განმავლობაში  | 302,865               | -                                  | 302,865          |
| შემცირება წლის განმავლობაში | (7,680)               | -                                  | (7,680)          |
| <b>31.12.2017</b>           | <b>569,194</b>        | -                                  | <b>569,194</b>   |
| დარიცხვა წლის განმავლობაში  | 471,402               | 219,460                            | 690,862          |
| შემცირება წლის განმავლობაში | (12,320)              | -                                  | (12,320)         |
| <b>31.12.2018</b>           | <b>(1,028,276)</b>    | <b>219,460</b>                     | <b>1,247,736</b> |

**შპს „საგზაო სამშენებლო სამმართველო N1“**

**ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**

*ქართულ ლარში*

**11 ფული და ფულის ექვივალენტები**

|                                        | 31 დეკემბერი<br>2018 | 31 დეკემბერი<br>2017 |
|----------------------------------------|----------------------|----------------------|
| ფული სალაროში                          | 102,996              | 97,149               |
| ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე     | 973,664              | 660,297              |
| საბანკო დეპოზიტები                     | 1,968,924            | 504,507              |
| <b>სულ ფული და ფულის ექვივალენტები</b> | <b>3,045,584</b>     | <b>1,261,953</b>     |

საბანკო დეპოზიტზე მიღებულმა შემოსავალმა 2018 წლის განმავლობაში შეადგინა 4,094 ლარი (2017: 24,175 ლარი). საბანკო დეპოზიტის საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრება წლიური 2.75%-ით, რაც არსებითად არ განსხვავდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთისგან.

**12 საწესდებო კაპიტალი**

კომპანიის პარტნიორთა გადაწყვეტილების თანახმად, საწესდებო კაპიტალი განისაზღვრა 1,070,349 ლარით, რომელიც შევსებულია მფლობელთა შენატანებით კომპანიის მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე.

დამფუძნებელთა კრების გადაწყვეტილებით კომპანიამ 2018 წლის განმავლობაში დივიდენდად გამოაცხადა და გასცა 743,582 ლარი (2017: 1,496,740).

**13 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები**

|                                                       | 31 დეკემბერი<br>2018 | 31 დეკემბერი<br>2017 |
|-------------------------------------------------------|----------------------|----------------------|
| მიღებული ავანსი კონტრაქტის ფარგლებში (იხ. შენიშვნა 4) | 1,447,089            | -                    |
| სავაჭრო ვალდებულებები                                 | 522,736              | 264,071              |
| მიღებული ავანსები                                     | 38,608               | -                    |
| <b>სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები</b>              | <b>2,008,433</b>     | <b>264,071</b>       |

სავაჭრო ვალდებულებების ნაშთი შედგება შესყიდულ მასალებზე მომწოდებლებისათვის გადასახდელი თანხებისაგან, საოპერაციო იჯარების დავალიანებებისგან და სხვა გადასახდელებისგან.

## შპს „საგზაო სამშენებლო სამმართველო N1“

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

### 14 პირობითი ვალდებულებები და გაუთვალისწინებელი გარემოებები

#### საბანკო გარანტიები

სატენდერო და მიმდინარე სამშენებლო კონტრაქტებისგან წარმოშობილი ვალდებულებების უზრუნველსაყოფად, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის მიერ აღებული საბანკო გარანტიების ჯამური თანხა შეადგენდა 6,006,052 ლარს (2017: 1,401,407 ლარი).

საბანკო გარანტიები აღებულია 2014 წლის 18 ნოემბერს სს „ბაზის ბანკთან“ გაფორმებული გენერალური ხელშეკრულების საფუძველზე და უზრუნველყოფილია კომპანიის ძირითადი საშუალებების მთლიანი ოდენობით.

#### საოპერაციო იჯარასთან დაკავშირებული ვალდებულებები

|                            | 31 დეკემბერი<br>2018 | 31 დეკემბერი<br>2017 |
|----------------------------|----------------------|----------------------|
| 1 წლის განმავლობაში        | 14,580               | -                    |
| 1 წლიდან 5 წლამდე პერიოდში | -                    | -                    |
| 5 წლის შემდგომ პერიოდში    | -                    | -                    |
| <b>სულ</b>                 | <b>14,580</b>        | <b>-</b>             |

როგორც 2018, ასევე 2017 წლებში კომპანიის პირობითი ვალდებულებები იჯარასთან დაკავშირებით წარმოქმნილია საოპერაციო საქმიანობის საჭიროებებიდან გამომდინარე იჯარით აღებული აქტივების ქირავნობასთან.

#### დაბეგვრის გაუთვალისწინებელი გარემოებები

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მას ახასიათებს სასამართლო გადაწყვეტილებებისა და დებულებების ხშირი ცვლილება. საგადასახადო ნორმები ხშირად ბუნდოვანი და წინააღმდეგობრივია და სხვადასხვა საგადასახადო ორგანოს მიერ სხვადასხვაგვარად განიმარტება. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია კომპანიას დააკისროს დამატებითი საგადასახადო ვალდებულება, ჯარიმა ან საურავი, თუ სამართალდარღვევიდან სამი წელია გასული.

## შპს „საგზაო სამშენებლო სამმართველო N1“

### ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

#### ქართულ ლარში

ზემოთხსენებული ვითარებები წარმოქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც საქართველოში უფრო არსებითია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ იგი ადეკვატურად ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს, ხელმძღვანელობს რა საქართველოში მოქმედი საგადასახადო

კანონმდებლობის ინტერპრეტაციების, ოფიციალური აქტებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების შესაბამისად. მიუხედავად ამისა, შესაბამისი საგადასახადო ორგანოების კომპანიისგან განსხვავებულმა პოზიციამ შესაძლოა არსებითი გავლენა იქონიოს წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

### 15 ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

მომდევნო ცხრილში ილუსტრირებულია არსებითი ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, რომლებიც გახორციელდა 2018 წლის განმავლობაში და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

| ტრანზაქციები   | 2018        | 2017        |
|----------------|-------------|-------------|
| გაყიდვები      | 57,469      | 158,818     |
| შესყიდვები     | 933,527     | 2,109,775   |
| <b>ნაშთები</b> | <b>2018</b> | <b>2017</b> |
| მოთხოვნები     | 534,187     | -           |
| ვალდებულებები  | 597,457     | 55,162      |

ხელმძღვანელობის ანაზღაურებამ 2018 წელს შეადგინა 472,500 ლარი (2017: 422,500 ლარი).

### 16 საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ განვითარებული მოვლენები

ამ ფინანსური ანგარიშგებების გამოშვების თარიღამდე, 2019 წლის 27 თებერვლის პარტნიორთა გადაწყვეტილებით გამოცხადდა და გაიცა 31,580 ლარის ოდენობის დივიდენდები.